დღე I — 3 მარტი
დილით ისევ გავიარე წითელ ბანერებთან: „გეგმური შობადობა ძლიერი ქვეყნის საფუძველი!“
ჩვენს ქალაქში მოსახლეობის დინამიკა მკაცრად კონტროლდება. თითოეულ ოჯახს, თითოეულ დედას, თითოეულ ცხოვრებას სახელმწიფოს თვალები უყურებს.
ჩვენი იდენტობა თითქოს ორად გაიყო: ერთი მხარე დედაა, ბუნებრივი, თბილი, მეორე კი მოქალაქე რომელსაც კანონით განსაზღვრულია, რამდენ ბავშვს გააჩენს.
ხელისუფლება იყენებს ბერკეტებს, რომლებიც ერთდროულად მატერიალურიცაა და ფსიქოლოგიურიც: ჯარიმები, პრემიები, სამუშაოდან დათხოვნა, ან პირიქით სახელმწიფო ბონუსები მათთვის, ვინც პოლიტიკას იცავს.
ჩვენი სოციალიზაციის აგენტები პარტიის წარმომადგენლები, ექიმები, მასწავლებლები გვახსენებენ, რომ ეს არა მხოლოდ კანონი, არამედ სოციალისტური პასუხისმგებლობაა.
დრო და სივრცე თითქოს შეკუმშულია, თითქოს სახელმწიფო თავად წყვეტს, სად მთავრდება და სად იწყება ქვეყნის ტერიტორია.

დღე II — 4 მარტი
დღეს სამსახურში ყველა თანამშრომელი ერთმანეთს უყურებს თითქოს ყველას აქვს საიდუმლო. ზოგს მეორე შვილი ჰყავს და მალავს.
ჩვენი მოსახლეობის სტრუქტურა ნელ-ნელა იცვლება: სოფლად ბავშვების რაოდენობა იკლებს, ქალაქებში კი ახალგაზრდობა სწავლაზეა ორიენტირებული.
ეს ცვლილებები უკვე დემოგრაფიულ დინამიკაშიც ჩანს დაბადებულთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა, მაგრამ მამაკაცთა პროპორცია ქალებთან შედარებით გაიზარდა.
საზოგადოებაში ჩნდება უხილავი დაძაბულობა: ვის გაუმართლებს და ვის ეყოლება ბიჭი.
ჩვენ, ქალები, საკუთარ თავს ვხედავთ როგორც შუამავლები სახელმწიფოსა და ბუნებას შორის. ეს ჩვენი ახალი იდენტობაა, კონტროლირებადი დედობა.
ხელისუფლება ბერკეტად იყენებს პროპაგანდას, ტელევიზია ყოველდღე გვაჩვენებს ბედნიერ ორსული ქალების სურათებს, რომლებმაც "პარტიის მოწოდება შეასრულეს".
მაგრამ შიგნით, გულში, ყველას გვესმის, რომ ეს ბედნიერება ხშირად შიშითაა ნაქსოვი.

დღე III — 5 მარტი
ჩემს მეზობელ სოფელში გუშინ დააჯარიმეს ოჯახი, რომელმაც მეორე შვილი გააჩინა. მათ სახლი დაუკეტეს, ფული ჩამოართვეს. ეს პოლიტიკის „ბერკეტებია“, როგორც ხელისუფლება ამბობს „დასჯა ერთისათვის, მაგალითი ათასებისათვის“. მაგრამ ამ მკაცრმა მიდგომამ შეცვალა ჩვენი სოციალური მობილობა: ვისაც ფული აქვს, ჯარიმას გადაიხდის და მაინც ორ ბავშვს გააჩენს; ხოლო ღარიბები იძულებულნი არიან დაემორჩილონ.
ასე რომ, დემოგრაფიულ პრობლემას თან ახლავს ახალი სოციალური უთანასწორობაც.
სოციალიზაციის აგენტები ახლა უკვე ოჯახებშიც შემოდიან, ჯანმრთელობის ინსპექტორები, კომუნალური მუშაკები, რომლებიც ბავშვებს ითვლიან.
ჩვენ ვსწავლობთ ჩუმად ცხოვრებას, ესეც სოციალიზაციის ახალი ფორმაა.
ჩვენი იდენტობა იქცა დამალულ წინააღმდეგობად გარედან მორჩილები ვართ, შიგნით კი სიჩუმეში ვეძებთ თავისუფლებას.

დღე IV — 6 მარტი
დღეს ქალაქში საუბრობენ ახალ საზოგადოებრივ მოვლენაზე, ქალები უფრო გვიან ქორწინდებიან და ხშირად აღარ აჩენენ შვილებს საერთოდ.
ეს უკვე ახალი სოციალური ტენდენციაა, რომელიც თვითონ სახელმწიფოს პოლიტიკას ეწინააღმდეგება. მოსახლეობის დინამიკა ნელდება, არა მხოლოდ კანონის, არამედ ცხოვრების სტილის შეცვლის გამო.

ქალები სწავლობენ, მუშაობენ, ყალიბდებია სოციალური მობილობა, მათთვის უფრო ღია ხდება, მაგრამ ოჯახური სივრცე იკუმშება.
ეს იდენტობის გარდაქმნაა: ტრადიციული დედობიდან თანამედროვე მოქალაქემდე.
ხელისუფლება ახლა ახალ ბერკეტს იყენებს, განათლების პროგრამებს, სადაც ბავშვების რაოდენობა პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის პროგრესს.
მაგრამ საზოგადოებრივი პროცესები გლობალიზაცია, ახალი ეკონომიკური რეფორმები, ტექნოლოგიების გავრცელება, უკვე ცვლიან ამ იდეოლოგიურ ჩარჩოს.
ჩვენ ვხდებით სამყაროს ნაწილი, რომელიც ნელ-ნელა ცვლის ჩვენს იდენტობას, შიშიდან თვითცნობიერებისკენ.

დღე V — 7 მარტი
დღეს ტელევიზიაში თქვეს, რომ ჩინეთის მოსახლეობის ზრდა ისტორიულად დაბალ დონეზეა, პოლიტიკა წარმატებულია. მაგრამ დრო და სივრცე თითქოს ერთმანეთს გაეყარა: სახელმწიფო საუბრობს ციფრებზე, ადამიანების სიჩუმეზე.
დემოგრაფიული დინამიკა შეიცვალა, მაგრამ ამ ცვლილებამ ადამიანების იდენტობაც შეცვალა. ჩვენ ახლა ვხედავთ საკუთარ თავს როგორც ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკის ნაწილს და არა როგორც პიროვნებებს.
ბავშვების ხმაურის ნაცვლად ახლა უფრო ხშირად ისმის ტექნიკის ხმა, ქალაქის ზრდის ხმა, ეკონომიკური სასწაული, რომელიც ადამიანის შინაგან სიცარიელეს ფარავს.
ჩვენ, ერთი ბავშვის თაობა ვართ დროისა და სივრცის გადაკვეთაზე, სადაც კონტროლი თანდათან იცვლება ცნობიერებად და იდენტობა შეკითხვად:
თუ მხოლოდ ერთი ბავშვი უნდა მყავდეს, ვინ ვიქნები მე მომავალში, როგორც დედა, როგორც ქალი, როგორც ადამიანი?

დასკვნა
დღიურში ასახული ყოველდღიურობა გვაჩვენებს, როგორ იქცევა დემოგრაფიული პოლიტიკა, არა უბრალოდ სახელმწიფო წესად, არამედ ადამიანების ცხოვრებაში მოქმედ ძალად. კონტროლის ბერკეტები: ჯარიმები, პროპაგანდა, ინსტიტუციური მეთვალყურეობა, ქმნის საზოგადოებას, სადაც მორჩილება გარეგანია, წინააღმდეგობა კი ჩუმი და დაფარული.

ამ რეალობაში განსაკუთრებით გამოიკვეთა, ქალთა იდენტობის გარდაქმნა. ტრადიციული დედობა, რომელიც კანონით კონტროლირებულ მოვალეობად იქცა, თანდათან ეჯახება თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს, განათლებას, კარიერას, პირად თავისუფლებას. შედეგად, ქალები სახელმწიფოს მიერ ნაკრძალ სივრცეში საკუთარ არჩევანს პოულობენ და ამ გზით ახალ სოციალურ ცვლილებებსაც აჩენენ.

ერთი ბავშვის პოლიტიკა ასევე ამძაფრებს სოციალურ უთანასწორობას: შეძლებულებს შეუძლიათ დაარღვიონ ეს წესი, ხოლო ღარიბები ვალდებულები არიან დაემორჩილონ.

ტექსტის ბოლო კითხვა კი ყველაზე არსებითია:
როცა დედობა ნებადართული რაოდენობით იზომება, ვინ ხდება ადამიანი თავად საკუთარ თავში?

მარიამ მეტრეველი